საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-78/ნ

30 ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ივნისის N183/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **2010** წლის **25** ივნისის **N183/ნ** ბრძანებაში (სსმ **III, 28.06.2010 №75** მუხ.**1100)** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სააღრიცხვო–საანგარიშგებო ფორმები **(NN 1.3; 063; 1.4; 1.8; 1.9; 2.3; 2.8; 2.9; 2.10)** ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანებით დამტკიცებული დანართის („პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი“ და იმუნიზაციის მართვის წესები):

ა) მე–3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი

	ასაკი ვაქცინა	**0-12** საათი	**0-5** დღე	**2** თვე	**3** თვე	**4** თვე	**12** თვე	**18** თვე	**5** წელი	**14** წელი
1	ბცჟ **(BCG)**		X							
2	ჰეპ **B (HepB)**	X								
3	დიფთერია-ტეტანუსი-ყივანახველა-ჰეპ **B-** ჰიბ **(DPT-HepB-Hib)**			X	X	X				
4	დიფთერია-ტეტანუსი-ყივანახველა **(DPT)**							X		

5	ოპვ/იპვ (OPV/IPV)			X	X	X		X	X	
6	წითელა-წითურა-ყბაჯვარა (MMR)						X		X	
7	დიფთერია-ტეტანუსი (DT)								X	
8	ტეტანუსი-დიფთერია (Td)*									X
9	როტავირუსული ვაქცინა (Rota)			X	X					
10	პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინა (PCV)			X	X		X			
11	ადამიანის პაპილომავირუსული (HPV)	სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცრების დაწყების კონკრეტული წელი და აცრადაქვემდებარებული ასაკობრივი კონტინგენტები განისაზღვრება სშკსდ სამინისტროს ცალკე პრძანებით								
12	ჩუტყვავილა (VZV)									

შენიშვნა: * ტდ - შემდეგ ყოველ მე-10 წელს, 55 წლის ასაკამდე.“.

ბ) მე–4 მუხლის:

ბ.ა) მე–7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პნევმოკოკური ინფექციების საწინააღმდეგო თხევადი, პოლისაქარიდული კონიუგირებული ვაქცინით (ადსორბირებული) აცრა იწყება 2 თვის ასაკიდან და მთავრდება 12 თვის ასაკში, კურსი შედგება 3 ინექციისგან – 2 პირველადი ვაქცინაციისა და ერთი ბუსტერ დოზისაგან. აცრა კეთდება კუნთში, ბარძაყის ანტეროლატერალურ ზედაპირზე, ერთი საინექციო დოზა შეადგენს 0,5 მლ-ს. ამასთან, პნევმოკოკური ვაქცინის:

ა) პირველი დოზა უნდა გაკეთდეს 2 თვის ასაკში;

ბ) მეორე დოზა უნდა გაკეთდეს 3 თვის ასაკში;

გ) მესამე დოზა უნდა გაკეთდეს 12 თვის ასაკში;

დ) პირველ და მეორე აცრას შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალი არის 4 კვირა;

ე) მეორე და მესამე აცრას შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალი არის 6 თვე;

ვ) მესამე აცრა უნდა გაკეთდეს არანაკლებ 12 თვის და არა უგვიანეს 15 თვის ასაკისა.“;

ბ.ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

„7^1. დაგვიანებით დაწყებული ვაქცინაციის შემთხვევაში:

ა) 7–11 თვის ჩვილების ვაქცინაციის კურსი შედგება 3 ინექციისგან – 2 პირველადი ვაქცინაციისგან და მესამე დამატებითი აცრისგან. პირველ და მეორე დოზას შორის რეკომენდებული მინიმალური ინტერვალია 4 კვირა, ხოლო მესამე დამატებითი დოზის გაკეთება რეკომენდებულია სიცოცხლის მეორე წელს, ხოლო აცრიდან 2 თვის მინიმალური ინტერვალით 15 თვის ასაკამდე.

ბ) თუ რაიმე მიზეზის გამო, ბავშვს აცრა არ გაუკეთდა 12 თვის ასაკამდე, 12-23 თვის ასაკის ბავშვებისათვის ვაქცინაციის კურსი არის ორ დოზიანი, ერთი ასაცრელი დოზა შეადგენს 0,5 მლ. დოზებს შორის მინიმალური ინტერვალი არის 8 კვირა;

გ) უფროსი ასაკის ბავშვებში აცრა კეთდება მხრის გარეთა ზედაპირზე დელტისებურ კუნთში.“.

გ) მე-12 მუხლით განსაზღვრულ ცხრილს მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-11 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„

11.	პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინა (PCV)	უკუჩვენება* მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე; <u>გაფრთხილება*</u> ვაქცინაცია არ ტარდება 6 კვირაზე ნაკლებ ასაკში; ზომიერი ან მძიმე მწვავე დაავადება ტემპერატურით დაან მის გარეშე – გადადეთ ვაქცინაცია გამოჯანმრთელებამდე! *პნევმოკოკურ კონიუგირებულ ვაქცინაზე ვრცელდება ამ წესის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უკუჩვენებები და გაფრთხილებები

.".

დ) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ნ" და „ო" ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

„ნ) პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინის ფლაკონის გახსნიდან გასულია 6 საათი და მეტი (რადგანაც ვაქცინა არ შეიცავს კონსერვანტებს);

ო) პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინის ფლაკონზე არ არის მითითებული ფლაკონის გახსნის თარიღი, საათი და წუთი.".

მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო